საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

# დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030652626120520

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

**#06/3037**

**15 / ივლისი / 2020 წ.**

შპს "გეოდსდ"-ს დირექტორს
ბატონ იოსებ კაპანაძეს

ბატონო იოსებ,

ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელიც ეხება ესპანეთში, კომპანია „OX-CTA"-ს მიერ წარმოებული სადეზინფექციო საშუალება **"OX-VIRIN"**-ის რეგისტრაციას: 1.ინფორმაცია სადეზინფექციო საშუალების გამოყენების სფეროს, წესებისა და პირობების შესახებ. 2. მწარმოებელი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული წარმოშობისა და უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტები. 3. დასკვნა საშუალების მადეზინფიცირებელი ეფექტის შესახებ.

თქვენი განცხადების საფუძველზე, ბაქტერიებისა და ვირუსების ეროვნული საცავის ლაბორატორიაში შემოწმებულ იქნა სადეზინფექციო საშუალება **"OX-VIRIN"**-ის მადეზინფიცირებელი ეფექტი E.coli ATCC25922, E. hirae ATCC 10541, S. aureus ATCC 25923, და P.aeruginosa ATCC 27853 შტამებით. სადეზინფექციო საშუალება მითითებული ექსპოზიციით უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული მიკრობების გაუვნებლობას და შესაძლებელია მისი გამოყენება მეთოდური რეკომენდაციის შესაბამისად.

**გამოყენების მეთოდი**

**"OX-VIRIN"** წარმოადგენს გამოსაყენებლად მზა, უფერო, ძმრის სუნის მქონე სითხეს, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ პროფესიული გამოყენებისთვის. ძირითადი მოქმედი ნივთიერებებია წყალბადის ზეჟანგი 0.2% და ზეძმარმჟავა 0.05%. საშუალებას აქვს ფართო დადასტურებული სადეზინფექციო თვისებები ბაქტერიების, სოკოების და ვირუსების მიმართ.

| რეკომენდაცია | ზემოქმედების დრო |
|---|---|
| ხელის ჰიგიენური დეზინფექცია | დაიტანეთ ხელზე 5 მლ, შეიზილეთ მინიმუმ 30 წამის განმავლობაში |
| ქირურგიასთან დაკავშირებული დეზინფექცია | დაიტანეთ 10 მლ ხსნარი სუფთა მშრალ ხელზე, შეიზილეთ კარგად 45 წამის განმავლობაში |

საშუალება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ზედაპირების სადეზინფექციოდ, უნდა გადაიწმინდოს ან სპრეის სახით დაასხუროთ დასამუშავებელი ხელსაწყოების, აღჭურვილობის ზედაპირებს, საჭირო რაოდენობით დაიტანოთ დეზობარიერებზე. ხსნარის ხარჯი შეადგენს 30 მლ/მ2-ზე, ექსპოზიციის დრო 2-3 წუთი.

**უსაფრთხოების წესები**

**"OX-VIRIN"** გამოყენება დაუშვებელია სადეზინფექციო საშუალების ვარგისიანობის ვადის გასვლის შემდეგ. საშუალების გამოყენებისას აუცილებელია სამედიცინო პერსონალმა გაეცნოს ეტიკეტს, ინფორმაციას პროდუქტის შესახებ და დაიცვას უსაფრთხოების წესები. დაუშვებელია თამბაქოს გამოყენება და საკვების მიღება პროდუქტის გამოყენების დროს.

**შეფუთვა და ეტიკეტირება, შენახვის ვადები**

**"OX-VIRIN"** ხსნარი დაფასოებულია ქარხნული წესით. ინახება მშრალ, გრილ ადგილზე მწარმოებლის მიერ შეფუთვით სითბოსა და აალების წყაროსგან მოშორებით. მოარიდეთ მზის პირდაპირ სხივებს. მწარმოებლის გაუხსნელ შეფუთვაში საშუალების ვარგისიანობის ვადა მითითებულია ეტიკეტზე.

**შემომტანი**

ესპანეთში, კომპანია „OX-CTA".

**ჰიგიენური დასკვნა**

**"OX-VIRIN"-ი** წარმოადგენს სადეზინფექციო საშუალებას, რომელიც განკუთვნილია კანის ანტისეპტიკური და ჰიგიენური დამუშავებისა და ზედაპირების სადეზინფექციოდ სხვადასხვა ტიპის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, საგანმანათლებლო, საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებში მწარმოებლის მეთოდური რეკომენდაციის შესაბამისად.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად ირმა ხონელიძე